

საგანმანათლებლო დაწესებულების და სახელეუბა	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სოციოლოგიის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	სამაგისტროპროგრამა მოიცავს 120კრედიტს და აერთიანებს სამ სასპეციალიზაციო მოდულს <i>სოციალური დემოგრაფია, კულტურის სოციოლოგია, ზოგადი და ორგანიზაციული სოციოლოგია</i> . პირველ და მეორე სემესტრში (60 კრედიტი) ზოგადი სავალდებულო კურსების შესწავლის შემდეგ მაგისტრანტი მესამე სემესტრიდან ირჩევს რომელიმე სასპეციალიზაციო მოდულს (30კრედიტი). სასპეციალიზაციო მოდულის 20 კრედიტი განსაზღვრულია მოდულის ძირითადი კურსებისათვის, ხოლო 10 კრედიტი - არჩევითი კურსებისათვის. ბოლო, მეოთხე სემესტრში მაგისტრანტი წერს სამაგისტრო ნაშრომს (30კრედიტი)
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელსაც ექნება ღრმა და სისტემური ცოდნა თეორიულ სოციოლოგიაში, დარგობრივ სოციოლოგიაში და სოციოლოგიური კვლევის ემპირიულ მეთოდებში; ამ პროგრამით მიღებული ცოდნის საფუძველზე, პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ სოციოლოგიური სამსახურების დაკომპლექტებას, რომლებმაც პერსპექტივაში დიდი როლი უნდა ითამაშონ რეგიონში მიმდინარე რესოციალურ-ეკონომიკური, მატერიალური და სულიერი ცხოვრების პროცესებში; პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდება სპეციალისტი, რომელიც შეძლებს არა მხოლოდ ისტორიული მემსიერების გათვალისწინებას, არამედ მომავლის მიზნებიდან გამომდინარე დღევანდელი მდგომარეობის გააზრებას და ისეთი ხედვების დანერგვას, რომელიც მომავლის პერსპექტივებიდან არსებული რეალობის ანალიზს გულისხმობს.
სწავლის შედეგები	<p>ცოდნა და გაცნობიერება: მაგისტრანტმა იცის სოციოლოგიის, როგორც მეცნიერების წარმოშობის, წინაპირობებისა და განვითარების ისტორია; აქვს ძირითადი სოციოლოგიური თეორიების ფუნდამენტური ცოდნა; იცნობს თანამედროვე მსოფლიოში სოციოლოგიის განვითარების ტენდენციებს და აქტუალურ პრობლემებს; იცის დარგობრივი სოციოლოგიის ძირითადი პრობლემები და მიმართულებები; იცის სოციოლოგიის კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები; ასევე სოციოლოგიური კვლევის შედეგების დამუშავების მეთოდები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.</p> <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: მაგისტრანტს შეუძლია სოციოლოგიური კვლევების დაგეგმვა და წარმოება; საკვლევი სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლია კითხვარებისა და ანკეტების შედგენა; შეუძლია საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების დიაგნოსტიკა და პროგნოზირება; თანამედროვე ტექნოლოგიების და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება კვლევის პროცესში; შეუძლია აქტუალური პრობლემების კლასიფიცირება და საზოგადოებისთვის მტკიცებელი საკითხების მოგვარების გზების შეთავაზება.</p> <p>დასკვნის უნარი: მაგისტრანტს აქვს მაღალკვალიფიციური სტრატეგიული ანალიზის უნარი; შეუძლია სოციოლოგიური კვლევებისა და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სათანადო დასკვნების გამოტანა; რთული და არასრული ინფორმაციის პირობებში კრიტიკული ანალიზის და სათანადო მეთოდების გამოყენების საფუძველზე შეძლებს საერთო სურათის შექმნას და შესაბამისი დასკვნების გამოტანას; შეუძლია ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შედარება მსოფლიოში არსებულ ტენდენციებთან.</p> <p>კომუნიკაციის უნარი: მაგისტრანტს შეუძლია სამეცნიერო თემებისა და სოციოლოგიური კვლევის შედეგების პრეზენტაცია როგორც ქართულ, ისე უცხო ენაზე; შეუძლია წამოჭრას აქტუალური პრობლემების გარშემო პოლემიკა და წარმართოს ის პროფესიული ეთიკისა და მაღალკვალიფიციური კომპეტენციების გამოვლინების რეჟიმში; შეუძლია კომუნიკაცია კოლეგებთან პროფესიულ თემებზე; აქვს უნარი ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია მათთვის საინტერესო და აქტუალურ საკითხებზე.</p> <p>სწავლის უნარი: მაგისტრანტს აქვს უნარი გამოკვეთოს საკუთარი ინტერესების სფერო და შესწავლილი მოდელები გამოიყენოს შემდგომი პროფესიული განვითარებისათვის; შეუძლია საკუთარი ცოდნა გაამდიდროს დარგობრივი სოციოლოგიის სფეროში; სისტემატიურად გაამდიდროს</p>

	<p>თავისი ცოდნა მსოფლიოში მიმდინარე აქტუალური პროცესების გაცნობით და მათ საფუძველზე მოახდინოს საქართველოში მიმდინარე სოციალური თემების შესწავლა.</p> <p>ღირებულებები: მაგისტრანტი ყალიბდება პიროვნებად, რომელსაც აქვს განსხვავებული შეხედულებებისადმი, აღმსარებლობისადმი, ეთნიკური და რასობრივი კუთვნილებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება;</p> <p>შეუძლია რესპოდენტების პატივისცემა და კონფიდენციალობის დაცვა; საკუთარი ეროვნული ღირებულებებისადმი პატივისცემა და მათი შესაბამისობა ზოგად საკაცობრიო ღირებულებებთან.</p>
შეფასებისწესი	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი წესით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81- 90 ქულა; გ) (C) კარგი - 71- 80ქულა; დ) (D)დამაკმაყოფილებელი 61-70 ქულა;ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა; (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.</p>
საკონტაქტო პირი	<p>პროგრამის ხელმძღვანელები:</p> <p>ლალი ანთიძე, ასოცირებული პროფესორი, მობ.: 599 23 06 09 e-mail: lali.antidze@bsu.edu.ge</p> <p>ნუგზარ ჩხაიძე, ფილოსოფიის დოქტორი მობ.: 593 72 31 66 e-mail: nugzar.chkaidze@bsu.edu.ge</p> <p>გია ნოდია, პროფესორი მობ.: 577 42 56 93 e-mail: ghian@iliauni.edu.ge</p>